

სახაზინო სამსახურის ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

საქართველოს 2009 წლის იანვარ-აპრილის სახელმწიფო ბიუჯეტის
შემოსულობების, გადასახდლებისა და ნაშთის ცვლილების შესახებ

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

საქართველოს 2009 წლის იანვარ-აპრილის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა შეადგინა სულ 1 723 771.4 ათასი ლარი; მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები მიღებული იქნა 1 530 813.8 ათასი ლარის მოცულობით, არაფინანსური აქტივების კლებით მიღებულმა შემოსულობებმა შეადგინა 25 702.5 ათასი ლარი, ფინანსური აქტივების კლებით მიღებულია 123 764.1 ათასი ლარი, ხოლო ვალდებულების ზრდით – 43 490.9 ათასი ლარი.

2009 წლის იანვარ-აპრილში მიღებული სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებმა (1 530 813.8 ათასი ლარი) შეადგინა საპროგნოზო მოცულობის (1 509 800.4 ათასი ლარი) 101.4%-ი;

მათ შორის:

– გადასახადების საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 1 403 891.6 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 1 414 210.1 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 100.7%;

– გრანტების საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 34 858.8 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 43 611.8 ათასი ლარი. მათ შორის:

– სახელმწიფო სექტორის ფინანსური მართვის მხარდაჭერის პროექტი – 3 564.0 ათასი ლარი;

– ბიუჯეტის მხარდამჭერი გრანტი – 11 216.8 ათასი ლარი;

– ინვესტიციური პროექტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის ინფორმაციით, სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის გაუვლელად მიღებული გრანტები 26 968.4 ათასი ლარი;

– სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე მყოფი ინვესტიციური პროექტების გრანტები სულ 1 864.7 ათასი ლარი, რომლის ექვივალენტი უცხოური ვალუტა, ხაზინის სავალუტო ანგარიშზე დონორების მიერ პროექტების დასაფინანსებლად ჩარიცხული თანხიდან, დაკონვერტირდა და ხაზინის ერთიანი ანგარიშის მეშვეობით მიიმართა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალში; მათ შორის: “დაცული ტერიტორიების განვითარება” – 18.6 ათასი ლარი; “ფრინველის გრიპის კონტროლისა და ადამიანებში პანდემიისათვის მზადყოფნისა და რეაგირების პროექტი (ადამიანთა ჯანმრთელობა და საზოგადოების გათვითცნობიერება და ინფორმირება)” – 164.1 ათასი ლარი; “ფრინველის გრიპის კონტროლისა და ადამიანებში პანდემიისათვის მზადყოფნისა და რეაგირების პროექტი (ცხოველთა ჯანმრთელობის კომპონენტი)” – 351.1 ათასი ლარი; “ინფრასტრუქტურის ინვესტიციების მოსამზადებელი პროექტი (ხუდონის კომპონენტი)” – 444.1 ათასი ლარი; “სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტი” – 371.3 ათასი ლარი; „განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტი I და III კომპონენტი” – 515.5 ათასი ლარი.

– ხაზინის ერთიანი ანგარიშზე გრანტების სახაზინო კოდეზზე ჩარიცხული “სხვა თანხები” 0.3 ათასი ლარი.

– გასულ წელს შეცდომით გადახდილი თანხის უკან დაბრუნება (უარყოფითი შემოსავალი) – (-2.4) ათასი ლარი;

„სხვა შემოსავლების” საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 71 050.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 72 991.9 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 102.7%.

2009 წლის იანვარ-აპრილში არაფინანსური აქტივების კლებით მიღებული შემოსულობების მოცულობამ (25 702.5 ათასი ლარი) შეადგინა საპროგნოზო მოცულობის (25 503.2 ათასი ლარი) 100.8%.

„ფინანსური აქტივების კლებით” მიღებული შემოსულობების მოცულობამ (123 764.1 ათასი ლარი) შეადგინა საპროგნოზო მოცულობის (121 763.2 ათასი ლარი) 101.6%.

„ვალდებულებების” ზრდით მიღებული შემოსულობების (საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისა და სხვა ქვეყნის მთავრობების მიერ საქართველოს მთავრობისათვის გამოყოფილი გრძელვადიანი საინვესტიციო შეღავათიანი კრედიტები) მოცულობამ შეადგინა – 43 490.9 ათასი ლარი, მათ შორის:

– ინვესტიციური პროექტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის ინფორმაციით, სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის გაუვლელად მიღებული კრედიტები სულ 23 197.6 ათასი ლარი;

– რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი (IDA) – 10 568.0 ათასი ლარი, რომელიც წარმოადგენს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ 2008 წლის განმავლობაში მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული „რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის” რეტროაქტიულ დაფინანსებას.

– სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე მყოფი “სოფლის განვითარების პროექტის” კრედიტი – 110.1 ათასი ლარი; “ფრინველის გრიპის კონტროლისა და ადამიანებში პანდემიისათვის მზადყოფნისა და რეაგირების პროექტი (ადამიანთა ჯანმრთელობა და საზოგადოების გათვითცნობიერება და ინფორმირება)” – 39.0 ათასი ლარი; “ფრინველის გრიპის კონტროლისა და ადამიანებში პანდემიისათვის მზადყოფნისა და რეაგირების პროექტი (ცხოველთა ჯანმრთელობის კომპონენტი)” – 181.2 ათასი ლარი; „მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტი” – 520.3 ათასი ლარი; „შიდა სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების პროექტი” – 410.1 ათასი ლარი; “რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი – 660.1 ათასი ლარი; „ადმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომარშრუტის მეორე პროექტის კრედიტი – 5 233.3 ათასი ლარი; “მუნიციპალური განვითარების პროექტი (აზიის განვითარების ბანკის სესხი) – 910.9 ათასი ლარი; „განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტი I და III კომპონენტი” – 1 619.6 ათასი ლარი; ს.ს.ი.პ. „ჯანდაცვისა და სოციალური პროექტების განმახორციელებელი ცენტრი „პირველადი ჯანდაცვის განვითარება” – 40.7 ათასი ლარი, რომელთა ექვივალენტი უცხოური ვალუტა ხაზინის საგალუტო ანგარიშზე ჩარიცხვის შემდეგ, დაკონვერტირდა და ხაზინის ერთიანი ანგარიშის მეშვეობით მიიმართა ბიუჯეტის შემოსულობებში.

ინვესტიციური პროექტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციიდან სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების ანგარიშგებაში ასახვისას ამოითიმა კრედიტების და გრანტების თანხები 31 867.5 ათასი ლარის მოცულობით, რომელთა შესაბამისი ექვივალენტები უცხოურ ვალუტაში ჩაირიცხა ხაზინის საგალუტო ანგარიშზე და პროექტის განმახორციელებელი სსიპ-ს მიერ ხარჯების გაწევის შესაბამისად, მოხდება კონვერტირება და ხაზინის ერთიანი ანგარიშზე ჩარიცხვის გზით მიიმართა ბიუჯეტის შემოსულობებში, მათ შორის:

საბიუჯეტო ორგანიზაციებზე დონორების მიერ გამოყოფილი მიზნობრივი დანიშნულების გრანტები 3 458.0 ათასი ლარი, რომელიც “სამინისტროების და უწყებების მიერ მიღებული ფულადი გრანტების აღრიცხვის და ხარჯვის შესახებ” საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 5 თებერვლის №66 ბრძანების თანახმად, ბიუჯეტის შემოსულობებში აისახება “საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” საქართველოს კანონში შესაბამისი ცვლილებების შეტანის შემდეგ; სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე მყოფი საინვესტიციო პროექტები: “ფრინველის გრიპის კონტროლისა და ადამიანებში პანდემიისათვის მზადყოფნისა და რეაგირების პროექტი (ადამიანთა ჯანმრთელობა და საზოგადოების გათვითცნობიერება და ინფორმირება)” გრანტი – 13.0 ათასი ლარი; “ინფრასტრუქტურის ინვესტიციების მოსამზადებელი პროექტი (ხულონის კომპონენტი)” – 134.4 ათასი ლარი; „განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტი I და III კომპონენტი” გრანტი – 127.5 ათასი ლარი; “ფრინველის გრიპის კონტროლისა და ადამიანებში პანდემიისათვის მზადყოფნისა და რეაგირების პროექტი (ადამიანთა ჯანმრთელობა და საზოგადოების გათვითცნობიერება და ინფორმირება)” კრედიტი – 9.0 ათასი ლარი; “რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი – 6 748.0 ათასი ლარი; “მუნიციპალური განვითარების პროექტი (აზიის განვითარების ბანკის სესხი) – 5 817.3 ათასი ლარი; „ადმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მეორე პროექტის კრედიტი – 14 253.4 ათასი ლარი; „განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტი I და III კომპონენტი” კრედიტი – 1 097.6 ათასი ლარი; ს.ს.ი.პ. „ჯანდაცვისა და სოციალური პროექტების განმახორციელებელი ცენტრი „პირველადი ჯანდაცვის განვითარება” – 209.3 ათასი ლარი.

ფინანსთა სამინისტროს 2007 წლის 28 დეკემბრის №1318 ბრძანებით დამტკიცებული “სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ” ინსტრუქციის თანახმად, სახაზინო სამსახურში დონორების მიერ საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი დაფინანსებისა და გაწეული საკასო ხარჯების შესახებ სახაზინო სამსახურში აპრილის თვეში ინფორმაცია წარმოდგენილი იქნა საინვესტიციო პროექტების განმახორციელებელი სსიპ-ის მიერ 13 პროექტზე, საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი თანხების მოცულობამ შეადგინა 48 869.8 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა 2009 წლის 1 იანვრისათვის რიცხული ნაშთებისა და საანგარიშო პერიოდში ჩარიცხული თანხების ფარგლებში, შეადგინა 35 915.0 ათასი ლარი. 46 პროექტზე პროექტების განმახორციელებელ სსიპ-ებს არ წარმოუდგენიათ ინფორმაცია გამოყოფილი თანხებისა და საკასო ხარჯების შესახებ.

“საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სისტემაში შეძგალი ბიუჯეტის მხარჯავი ერთეულების მიერ მიღებული საკონსულო მოსაკრებლებისა და ბიუჯეტის შემოსულობათა აღრიცხვისა და გამოყენების წესის შესახებ” საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 6 მარტის №82 ბრძანებულების შესაბამისად, საკონსულო მოსაკრებლებისა და ბიუჯეტის სხვა შემოსულობების სახით, საგარეო საქმეთა სამინისტროს წერილობითი მომართვების საფუძველზე, 2009 წლის იანვარ-აპრილში სახაზინო სამსახურის მიერ ხაზინის ერთიან ანგარიშზე გატარდა და სახელმწიფო ბიუჯეტის როგორც შემოსავლებში, ასევე ხარჯებში ასახული იქნა, წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების, ასევე საგარეო საქმეთა სამინისტროს აპარატის მიერ მიღებული და ადგილზე გახარჯული თანხები სულ 1 410.8 ათასი ლარი.

წინა წლების გამოყენებული საბიუჯეტო სახსრების დაბრუნებით მიღებული იქნა 6 385.5 ათასი ლარი.

ნაშთის ცვლილება

2009 წლის 1 იანვრისათვის ხაზინის ერთიან ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრების ნაშთმა შეადგინა 753 615.5 ათასი ლარი, მ.შ: თავისუფალი ნაშთი – 708 014.9 ათასი ლარი, ინვესტიციური კრედიტები და გრანტები – 4 693.6 ათას ლარი (აღნიშნული თანხა დაზუსტდა მიმდინარე წელს უკან მობრუნებული 1.7 ათასი ლარით და შეადგინა 4 695.3 ათასი ლარი); აკრედიტებით უზრუნველყოფისათვის დაჯავშნული თანხები – 39 865.3 ათასი ლარი და ხარჯების მობრუნების შედეგად ჩარიცხული გაურკვეველი თანხები 1 040.0 ათასი ლარი, რომელიც მხარჯავი სუბიექტების მიერ დამატებითი ინფორმაციების წარმოდგენის და დაზუსტების შემდეგ, მიიმართება დანიშნულებით.

2009 წლის 1 მაისისათვის ხაზინის ერთიან ანგარიშის სისტემის ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრების ნაშთმა შეადგინა 468 711.6 ათასი ლარი, მათ შორის: ხაზინის ერთიან ანგარიშზე – 418 711.6 ათასი ლარი; სახელმწიფო ბიუჯეტის მიმდინარე ანგარიშზე კომერციულ ბანკში – 50 000.0 ათასი ლარი; თავისუფალი ნაშთი – 421 708.9 ათასი ლარი, ინვესტიციური კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში გასულ და მიმდინარე წელს ჩარიცხული თანხები – 8 213.2 ათასი ლარი, რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი (IDA) – 10 568.0 ათასი ლარი, აკრედიტებით უზრუნველყოფისათვის დაჯავშნული თანხები – 27 876.7 ათასი ლარი და ხარჯების მობრუნების შედეგად ჩარიცხული გაურკვეველი თანხები 344.8 ათასი ლარი, რომელიც მხარჯავი სუბიექტების მიერ დამატებითი ინფორმაციების წარმოდგენის და დაზუსტების შემდეგ, მიიმართება დანიშნულებით.

საანგარიშო პერიოდში ფულადი სახსრების ცვლილებამ (გამოყენება) შეადგინა 284 903.9 ათასი ლარი.

2009 წლის 1 მაისის მდგომარეობით სხვადასხვა უცხოურ ვალუტაში ხაზინის სავალუტო ანგარიშებზე საბიუჯეტო სახსრების სახით რიცხულმა თანხებმა შესაბამისი ექვივალენტით ეროვნულ ვალუტაში შეადგინა 750.8 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტის

გადასახდელები

„საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განწერისა და 2009 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობების თვეების და კვარტლების მიხედვით განწერის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 9 იანვრის №6 ბრძანებით დამტკიცებული განწერით, 2009 წლის ექვსი თვის გეგმით გასაწევი სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების საპროგნოზო პარამეტრი განისაზღვრა 3 399 028.1 ათასი ლარით (მათ შორის საბიუჯეტო სახსრები – 3 123 022.8 ათასი ლარი, კრედიტები და გრანტები – 276 005.3 ათასი ლარი); საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2007 წლის 28 დეკემბრის №1318 ბრძანებით დამტკიცებული “სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ” ინსტრუქციის შესაბამისად ვალდებულებები რეგისტრირებული იყო 2 449 063.4 ათას ლარზე, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 2 015 405.6 ათასი ლარი, (მათ შორის საბიუჯეტო სახსრებით გაწეული საკასო ხარჯების მოცულობა – 1 948 057.5 ათასი ლარი, ხოლო კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული საკასო ხარჯების მოცულობა – 67 348.1 ათასი ლარი), რაც ვალდებულების 82.3%, ხოლო გეგმის 59.3%-ს შეადგენს. საბიუჯეტო სახსრებით გაწეული საკასო ხარჯების მოცულობამ 2009 წლის იანვარ-აპრილის მთლიან ხარჯებში შეადგინა 96.7%, ხოლო კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული ხარჯების მოცულობამ კი მთლიანი ხარჯების 3.3%.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2005 წლის 29 დეკემბრის №1307 ბრძანებით დამტკიცებული “საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის ფულის გაცემის ოპერატიული ფინანსური გეგმის შედგენისა და ფულადი სახსრების მართვის წესის შესახებ” ინსტრუქციის საფუძველზე, ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ, ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში, თანხების ხარჯვა საანგარიშო პერიოდში ხორციელდებოდა მათ მიერ მოსალოდნელ ხარჯებზე წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად შედგენილი და საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული ფულის გაცემის ოპერატიული ფინანსური გეგმების მიხედვით.

“საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად, იანვარ-აპრილის სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებზე ინფორმაცია ორგანიზაციულ ჭრილში დანართის სახით თან ერთვის, ხოლო გაწეული საკასო ხარჯების სტრუქტურა საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით შემდეგია:

ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით: “შრომის ანაზღაურების” მუხლით ხარჯების დასაფინანსებლად 2009 წლის ექვსი თვის გეგმით გათვალისწინებულია 500 748.2 ათასი ლარი. ამ მიზნით რეგისტრირებული იქნა ვალდებულებები (წარმოდგენილია განაცხადი) 393 233.0 ათას ლარზე, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 304 386.9 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 77.4%-ს და საგეგმო მაჩვენებლის 60.8%-ს შეადგენს.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლით 2009 წლის ექვსი თვის გეგმით განსაზღვრულია 438 090.9 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 286 315.1 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 244 180.2 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 85.3%-ს და კვარტალური გეგმის – 55.7%-ს შეადგენს.

„პროცენტის“ დაფარვის მუხლით 2009 წლის ექვსი თვის გეგმით გათვალისწინებულია 81 948.8 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 61 796.7 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 61 796.7 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 100% და გეგმის – 75.4%-ს შეადგენს. მათ შორის:

– საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისათვის საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 16 591.9 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (16 591.9 ათასი ლარი) 100%-ს შეადგენს;

– საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისათვის საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 45 204.8 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (45 204.8 ათასი ლარი) 100%-ია.

“სუბსიდიების” მუხლით გასაწევი ხარჯების 2009 წლის ექვსი თვის გეგმამ შეადგინა 198 108.7 ათასი ლარი, იანვარ-აპრილში აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 123 713.0 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ – 96 831.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 78.3%-ს და გეგმის 48.9%-ს შეადგენს.

„გრანტების“ მუხლით გასაწევი ხარჯების 2009 წლის ექვსი თვის გეგმამ შეადგინა 346 793.1 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ – 240 783.2 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (260 159.9 ათასი ლარი) 92.6% და საგეგმო მაჩვენებლის (346 793.1 ათასი ლარი) 69.4%-ია.

ხარჯების აღნიშნული კატეგორიიდან 2009 წლის იანვარ-აპრილში სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების ბიუჯეტებს ფინანსური დახმარების სახით გადაერიცხათ 233 729.4 ათასი ლარი, ანუ ვალდებულების (252 642.6 ათასი ლარი) 93%.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით 2009 წლის იანვარ-აპრილში მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა შეადგინა 457 175.1 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (636 835.9 ათასი ლარი) 71.8%-ს და ექვსი თვის საგეგმო პარამეტრის (689 620.9 ათასი ლარი) 66.3%-ს შეადგენს. მათ შორის, სოციალური დახმარებების სახით გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 453 826.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 72%-ია.

აღნიშნული მუხლიდან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური პროგრამების ხარჯების დასაფინანსებლად 2009 წლის ექვსი თვის გეგმით განესაზღვრა 546 950.1 ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა შეადგინა 366 054.3 ათასი ლარი, რაც გეგმის 66.9%-ია. მათ შორის: სახელმწიფო პენსიების დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 267 880.4 ათასი ლარი, რაც ვალდებულების – (400 358.2 ათასი ლარი) და გეგმის (400 358.2 ათასი ლარი) 66.9%-ია. ლტოლვილთა და დევნილთა შემწეობების ხარჯების დასაფინანსებლად ექვსი თვის გეგმით განისაზღვრა 33 612.0 ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა შეადგინა 21 506.0 ათასი ლარი, რაც გეგმის და ვალდებულების (16 806.0 ათასი ლარი) 64%-ია. ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დასაფინანსებლად 2009 წლის ექვსი თვის გეგმით განსაზღვრულია 130 674.3 ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა შეადგინა 81 074.9 ათასი ლარი, რაც გეგმის 62% და ვალდებულების (82 456.5 ათასი ლარი) 98.3%-ია.

„სხვა ხარჯების“ მუხლით 2009 წლის ექვსი თვის გეგმა განისაზღვრა 325 069.3 ათასი ლარით, იანვარ-აპრილში აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 239 161.0 ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა – 186 199.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 77.9%-ს და გეგმის 57.3%-ს შეადგენს.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ „სხვა ხარჯების“ მუხლით გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 112 083.7 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებული იქნა 162 343.3 ათასი ლარის ვალდებულებები, ხოლო 2009 წლის ექვსი თვის გეგმამ შეადგინა 182 770.1 ათასი ლარი. მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა შეადგინა ვალდებულების 69% და საგეგმო მაჩვენებლის – 61.3%. მათ შორის, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პროგრამების ხარჯების დასაფინანსებლად მიმართული იქნა 99 176.7 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (146 163.9 ათასი ლარი) 67.8% და საგეგმო მაჩვენებლის (149 390.7 ათასი ლარი) 66.4%-ია.

„არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციით“ 2009 წლის ექვსი თვის გეგმით განისაზღვრა 500 951.9 ათასი ლარის ასიგნებები; საანგარიშო პერიოდში აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 214 396.8 ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა – 190 717.5 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 89%-ს და გეგმის 38.1%-ს შეადგენს.

აღნიშნული მუხლიდან რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებების დასაფინანსებლად განესაზღვრა 171 372.0 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებული იქნა 55 194.2 ათასი ლარის ვალდებულებები, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა (40 839.1 ათასი ლარი) შეადგინა ვალდებულების 74% და საგეგმო მაჩვენებლის – 23.8%; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2009 წლის ექვსი თვის გეგმა განისაზღვრა 85 029.6 ათასი ლარით. საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებული იქნა 55 496.8 ათასი ლარის ვალდებულებები, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა (54 489.3 ათასი ლარი) შეადგინა ვალდებულების 98.2% და საგეგმო მაჩვენებლის – 64.1%, ხოლო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2009 წლის ექვსი თვის გეგმა განისაზღვრა 83 889.1 ათასი ლარით. საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებული იქნა 69 117.1 ათასი ლარის ვალდებულებები, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა (66 182.9 ათასი ლარი) შეადგინა ვალდებულების 95.7% და საგეგმო მაჩვენებლის – 78.9%.

„ფინანსური აქტივების ოპერაციების კლასიფიკაციით“ 2009 წლის ექვსი თვის გეგმით ფინანსური აქტივებით ოპერაციების დასაფინანსებლად განსაზღვრულია 93 731.7 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებული ვალდებულებებმა შეადგინა 39 348.5 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 39 348.5 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 100.0%-ს და გეგმის – 42%-ს შეადგენს.

„ვალდებულებების კლების“ მუხლით 2009 წლის ექვსი თვის გეგმით განსაზღვრულია 223 964.7 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 194 103.5 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 193 987.4 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 99.9%-ს და გეგმის – 86.6%-ს შეადგენს. მათ შორის:

– საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვისათვის გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 12 061.6 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (12 061.6 ათასი ლარი) 100%-ია.

– საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვისათვის გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 181 925.8 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (182 041.9 ათასი ლარი) 99.9%-ია.

ორგანიზაციული კოდების მიხედვით დანართის სახით თანდართულია ასევე ინფორმაცია კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული ხარჯების შესახებ. უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებითა და გრანტებით განსახორციელებელი ინვესტიციური პროექტების კუთხით საგეგმო მაჩვენებელს აღემატებოდა: საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის პროექტი „საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის შესაძლებლობათა გაზრდა 2008 წლის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებისათვის მზადების პროცესში (UNDP)“ (კოდი 06 04 01, მუხლი „სხვა ხარჯები“) – 75.5 ათასი ლარი; საქართველოს უზენაესი სასამართლოს პროექტი „სასამართლო ხელისუფლების მხარდაჭერა (UNDP)“ (კოდი 08 02 01 მუხლი „სხვა ხარჯები“) – 53.0 ათასი ლარი; იუსტიციის სამინისტროს პროექტი: „მიწის კადასტრისა და რეგისტრაციის სისტემის ჩამოყალიბება – ი პროექტი“ (კოდი 26 13 01 მუხლი „სუბსიდიები“) – 42.1 ათასი ლარი; „სახალხო დამცველის ოფისის დახმარების პროექტი“ (UNDP)“ (კოდი 40 02 01, მუხლი „სხვა ხარჯები“) – 10.3 ათასი ლარი. ზემოაღნიშნული პროექტების ანგარიშგებაში ასახვის საფუძველს წარმოადგენს ფინანსთა სამინისტროს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის ინფორმაცია გრანტებისა და საერთაშორისო საინვესტიციო კრედიტების ფარგლებში ჩამორიცხული თანხების შესახებ, რომელთა ათვისება ხორციელდება სახაზინო ანგარიშების გაუკვლელად.

„შიდა სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების“ და „იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი სახლების გადაუდებელი რეაბილიტაცია დასავლეთ საქართველოში“ პროექტებზე გაწეული საკასო ხარჯი სულ – 4 151.0 ათასი ლარი, გაწეულია „საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში, ბიუჯეტის შემოსულობების სახით მისაღები გრანტებისა და კრედიტების ანგარიშში.

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალურ ჭრილში

2009 წლის იანვარ-აპრილში სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებმა ფუნქციონალურ ჭრილში შეადგინა 1 782 069.7 ათასი ლარი და ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით, შემდეგი სტრუქტურით ხასიათდება:

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხაზით გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 428 311.8 ათასი ლარი, რაც ექვსი თვის გეგმიური მაჩვენებელის (688 684.4 ათასი ლარი) 62.2%-ია. აღნიშნულ ხარჯებში დიდია ხვედრითი წილი აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფის, ფინანსური და ფისკალური საქმიანობის და საგარეო ურთიერთობის ხარჯების დაფინანსების – 81 365.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (168 170.4 ათასი ლარი) 48.4% და საერთო დანიშნულების

მომსახურების ხარჯების 19%-ია; სახელმწიფო ვალებთან დაკავშირებული ოპერაციების ხარჯების დაფინანსების – 61 888.4 ათასი ლარი, ანუ გეგმის (82 218.8 ათასი ლარი) 75.3% და საერთო დანიშნულების მომსახურების ხარჯების 14.4%; საერთო დანიშნულების ფულადი ნაკადების დაფინანსებამ მთავრობის სხვადასხვა დონეებს შორის შეადგინა 261 992.1 ათასი ლარი, ანუ გეგმის (401 027.6 ათასი ლარი) 65.3%; სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის დაფინანსების ხარჯებმა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში შეადგინა 4 974.8 ათასი ლარი, ანუ გეგმის (6 789.3 ათასი ლარი) 73.3%.

თავდაცვის ღონისძიებების ხარჯების დასაფინანსებლად 2009 წლის ექვსი თვის გეგმით გათვალისწინებულია 456 478.2 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 274 754.9 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 60.2%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 15.4%-ი.

საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების საზით 2009 წლის ექვსი თვის გეგმით განსაზღვრულია 458 390.7 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 288 769.4 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 63%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 16.2%; აღნიშნულ ხარჯებში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის დაფინანსების ხარჯებმა საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში შეადგინა 211 842.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (313 511.1 ათასი ლარი) 67.6%-ია; პოლიციის სამსახურის და სახელმწიფო დაცვის ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 30 662.8 ათასი ლარი, ანუ გეგმის (59 955.1 ათასი ლარი) 51.1%; სასამართლოებისა და პროკურატურის დაფინანსების ხარჯებმა (19 467.2 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (34 090.0 ათასი ლარი) 57.1%; სასჯელალსრულების დაწესებულებების დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 26 763.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (50 777.8 ათასი ლარი) 52.7%-ია.

ეკონომიკური საქმიანობის საზით 2009 წლის ექვსი თვის გეგმით გათვალისწინებულია 366 741.0 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 134 612.7 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 36.7%. აღნიშნულ ხარჯებში საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობის დაფინანსების ხარჯებმა (17 092.1 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (24 488.8 ათასი ლარი) 69.8%; სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის, მეთევზეობისა და მონადირეობის დაფინანსების ხარჯებმა (38 678.0 ათასი ლარი), გეგმის (72 444.6 ათასი ლარი) 53.4% შეადგინა; სათბობისა და ენერგეტიკის ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 14 533.4 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი შეადგინა 6 498.9 ათასი ლარი, რაც გეგმის 44.7%-ია; მათ შორის: ნავთობისა და ბუნებრივი აირის დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 1 421.4 ათასი ლარი, ანუ გეგმის (3 319.3 ათასი ლარი) 42.8%; ელექტროენერგეტიკის ხარჯების დასაფინანსებლად განსაზღვრულია 11 214.0 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 5 077.5 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 45.3%. ტრანსპორტის ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 220 415.9 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა (55 921.7 ათასი ლარი) შეადგინა გეგმიური მაჩვენებლის 25.4%; ეკონომიკის სხვა დარგების ხარჯების (4 554.3 ათასი ლარი) დაფინანსებამ შეადგინა საგეგმო მაჩვენებლის (14 669.4 ათასი ლარი) 31%; სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის დაფინანსების ხარჯებმა ეკონომიკის სფეროში შეადგინა 9 353.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (15 890.3 ათასი ლარი) 58.9%-ია.

გარემოს დაცვის საზით 2009 წლის ექვსი თვის გეგმით გათვალისწინებულია 22 143.4 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 6 133.7 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 27.7%. გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლის ხარჯების დასაფინანსებლად განსაზღვრულია 2 651.5 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა კი შეადგინა 1 536.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 57.9%-ია; სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯების დასაფინანსებლად გარემოს დაცვის სფეროში

განსაზღვრულია 12 914.0 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა (2 757.4 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის 21.3%.

ჯანმრთელობის დაცვის ხაზით 2009 წლის ექვსი თვის გეგმით განსაზღვრულია 169 473.0 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 87 864.6 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 51.8%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 4.9%-ი; ამბულატორიული მომსახურების ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 18 783.0 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა (8 124.2 ათასი ლარი) შეადგინა გეგმიური მაჩვენებლის 43.2%; საავადმყოფოების მომსახურებისათვის გაწეულმა ხარჯებმა (30 827.9 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (48 624.9 ათასი ლარი) 63.4%; საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების ხარჯები დაფინანსდა – 7 861.8 ათასი ლარით, რაც გეგმის (39 152.7 ათასი ლარი) 20.1%-ია; სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დაფინანსდა 40 698.4 ათასი ლარით, რაც გეგმის (62 352.3 ათასი ლარი) 65.3%-ია.

საქმიანობა კულტურის, დასვენებისა და რელიგიის სფეროში დაფინანსდა 39 013.8 ათასი ლარით, რაც 2009 წლის ექვსი თვის გეგმიური მაჩვენებლის – 65 953.5 ათასი ლარის 59.1%-ს შეადგენს. დასვენებისა და სპორტის სფეროში მომსახურების ხარჯებმა (11 637.4 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (19 873.8 ათასი ლარი) 58.6%; კულტურის სფეროში მომსახურების ხარჯებმა (9 801.4 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (17 409.6 ათასი ლარი) 56.3%; ტელე-რადიო მაუწყებლობის და საგამომცემლო საქმიანობის დასაფინანსებლად განსაზღვრულია 13 350.6 ათასი ლარი გამოყოფა, საკასო ხარჯმა (9 109.5 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის 68.2%; რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობის დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 6 991.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (13 109.0 ათასი ლარი) 53.3%-ია.

განათლების სფეროს დასაფინანსებლად 2009 წლის ექვსი თვის გეგმით განსაზღვრულია 233 751.2 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 126 616.7 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 54.2% და სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი ხარჯების 7.1%-ი; აღნიშნულ ხარჯებში დიდია ხვედრითი წილი: ზოგადი განათლების დაფინანსების – 99 613.8 ათასი ლარი, რომელმაც შეადგინა გეგმის (169 952.7 ათასი ლარი) 58.6%; უმაღლესი განათლების დაფინანსების – 13 987.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (28 904.9 ათასი ლარი) 48.4%-ია.

სოციალური დაცვის ხაზით 2009 წლის ექვსი თვის გეგმით განსაზღვრულია 616 207.6 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 395 107.7 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 64.1%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 22.2%-ი. ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 2 289.0 ათასი ლარი, ანუ საგეგმო მაჩვენებლის (4 099.7 ათასი ლარი) 55.8%; ხანდაზმულთა სოციალური დაცვის ხარჯების დასაფინანსებლად განსაზღვრულია 431 025.7 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა შეადგინა 285 100.9 ათასი ლარი, ანუ გეგმის 66.1%; ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვისთვის გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 63 289.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (95 296.0 ათასი ლარი) 66.4%-ია; სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიცირებას დაფინანსდა 29 364.3 ათასი ლარით, რომელმაც შეადგინა გეგმიური მაჩვენებლის (46 804.8 ათასი ლარი) 62.7%; სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობისათვის გაწეულმა ხარჯებმა სოციალური დაცვის სფეროში შეადგინა 9 721.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (32 546.7 ათასი ლარი) 29.9%-ია.

საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის

სარეზერვო ფონდები

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის 2009 წლის ექვსი თვის საგეგმო მაჩვენებელი განისაზღვრა 45 729.7 ათასი ლარით. საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით საანგარიშო პერიოდში საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ 78 შემთხვევაში შეადგინა 43 044.0 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 39 363.9 ათასი ლარი.

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში აუთვისებელი თანხების მოცულობამ 2009 წლის 1 მაისის მდგომარეობით შეადგინა 3 680.1 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდის 2009 წლის ექვსი თვის საგეგმო მაჩვენებელი განისაზღვრა 50 000.0 ათასი ლარით, ხოლო საანგარიშო პერიოდში საქართველოს მთავრობის განკარგულებით სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ 38 შემთხვევაში შეადგინა 39 234.2 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 32 711.0 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში 2009 წლის პირველი მაისისათვის აუთვისებელი თანხების მოცულობამ შეადგინა სულ 6 523.3 ათასი ლარი.

ორგანიზაციულ ჭრილში თანხების ხარჯვის შესახებ ინფორმაცია თან ერთვის.

წინა პერიოდში წარმოქმნილი სხვა კრედიტორული დავალიანებების დაფარვა

„საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საანგარიშო პერიოდში წინა პერიოდში წარმოქმნილი დავალიანებების დასაფარად „ვალდებულებების კლების“ მუხლით (საშინაო – სხვა კრედიტორული დავალიანებები) გამოყოფილი იქნა 178 589.0 ათასი ლარის ასიგნება. აქედან: ცალკეული ღონისძიებების სახით წინა პერიოდში წარმოქმნილი დავალიანებების დასაფარად განისაზღვრა 170 517.0 ათასი ლარის ასიგნება, „საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვისათვის გათვალისწინებული ასიგნებიდან – 6 985.0 ათასი ლარი (აქედან: იუსტიციის სამინისტროს გამოეყო 32.7 ათასი ლარი; სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ფონდს 3 432.5 ათასი ლარი, ხოლო აუთვისებელი დარჩა 3 519.8 ათასი ლარი); „საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ცალკეული ღონისძიებებისათვის და წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვის ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების გარდა გაწეული ხარჯი (სულ – 1 087.0 ათასი ლარი) ითვლება საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საბიუჯეტო ასიგნებებში წარმოქმნილი ეკონომიის ხარჯზე წინა პერიოდის დავალიანების დაფარავად.

ამასთან, ბიუჯეტის შესახებ კანონით განსაზღვრული ღონისძიებებისა და გამოყოფილი ასიგნებების მიხედვით საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯების მაჩვენებლები შემდეგია: საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, წინა წლებში შესრულებული საგზაო სამუშაოების აუნაზღაურებელი ნაწილის გადასახდელად მიიძღრა 4 450.0 ათასი ლარი (გეგმა – 5 080.0 ათასი ლარი); იუსტიციის

სამინისტროს დასაფინანსებლად მიიმართა – 32.2 ათასი ლარი (გეგმა – 332.7 ათასი ლარი); სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელალსრულების დეპარტამენტის დასაფინანსებლად მიიმართა – 108.7 ათასი ლარი (გეგმა – 197.4 ათასი ლარი); საგარეო საქმეთა სამინისტროს აპარატის დასაფინანსებლად – 59.9 ათასი ლარი (გეგმა – 59.9 ათასი ლარი); განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სამეცნიერო კვლევების პროგრამების დასაფინანსებლად მიიმართა – 4.0 ათასი ლარი (გეგმა – 4.0 ათასი ლარი); განათლების რესურს-ცენტრების დასაფინანსებლად მიიმართა – 0.6 ათასი ლარი (გეგმა – 0.6 ათასი ლარი); საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებების დასაფინანსებლად გამოეყო 2.2 ათასი ლარი (გეგმა – 2.2 ათასი ლარი); სახელოვნებო და სასპორტო განათლების ღონისძიებების დასაფინანსებლად მიიმართა – 49.0 ათასი ლარი (გეგმა – 49.0 ათასი ლარი); ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ლტოლვილთა და დევნილთა შენახვის ხარჯების დასაფინანსებლად ორგანიზებულად ჩასახლების ადგილებზე გამოეყო – 36.4 ათასი ლარი (გეგმა – 36.4 ათასი ლარი); საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ს.ს.ი.პ. – სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრის ადმინისტრაციის დასაფინანსებლად მიიმართა 18.4 ათასი ლარი (გეგმა – 18.4 ათასი ლარი); შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატის დასაფინანსებლად მიიმართა 1.3 ათასი ლარი (გეგმა – 1.3 ათასი ლარი); ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტოს დასაფინანსებლად 70.0 ათასი ლარი (გეგმა – 70.0 ათასი ლარი); გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს აპარატის დასაფინანსებლად – 6.1 ათასი ლარი (გეგმა – 6.1 ათასი ლარი); ცენტრალური საარჩევნო კომისიის აპარატის დასაფინანსებლად – 6.9 ათასი ლარი (გეგმა – 6.9 ათასი ლარი); პრეზიდენტის ადმინისტრაციის აპარატის დასაფინანსებლად მიიმართა – 472.9 ათასი ლარი (გეგმა – 472.9 ათასი ლარი); საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს დასაფინანსებლად – 17.3 ათასი ლარი (გეგმა – 20.1 ათასი ლარი); საერთო სასამართლოების დასაფინანსებლად მიიმართა – 2.1 ათასი ლარი (გეგმა – 2.6 ათასი ლარი); საქართველოს ფინანსთა სამინისტროში: სამინისტროს შემოსავლების სამსახურის დასაფინანსებლად მიიმართა – 11.3 ათასი ლარი (გეგმა – 11.3 ათასი ლარი); ორმხრივი, რეგიონალური და რეგიონთაშორისო პროექტების დასაფინანსებლად – 137.0 ათასი ლარი (გეგმა – 137.0 ათასი ლარი); ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების წინა წლებში წარმოქმნილი საგადასახადო დავალიანების დასაფარავად მიიმართა 165 000.0 ათასი ლარი (გეგმა – 165 000.0 ათასი ლარი).

“წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფის” ასიგნებების ფარგლებში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, შესაბამისი სააღსრულებლო ბიუროების საინკასო დავალებებით, სახაზინო სამსახურის ანგარიშებიდან წინა პერიოდში წარმოქმნილი სხვა კრედიტორული დავალიანებების დაფარვაზე სასამართლო გადაწყვეტილებებით დაკისრებული თანხების სახით ავტომატურ რეჟიმში იძულების წესით ჩამოჭრილი იქნა – 3 432.5 ათასი ლარი (გეგმა – 3 432.5 ათასი ლარი), რაც გატარდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ორგანიზაციულ კოდეზე.

2009 წლის იანვარ-აპრილის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში შედგენილია სახაზინო სამსახურში არსებული მონაცემების საფუძველზე.